სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N246

ქ. ბათუმი 28 ივნისი 2017 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ, შპს „ბულვარის კარიბჭე“ (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი დირექტორის რუსლან კაკაბაძის სახით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 55300000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელმა აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებს - ტელეკომპანია იმედის გადაცემის „იმედის კვირა“ გადამღებ ჯგუფს (სულ 3 პიროვნება) 2017 წლის 29 ივნისს უნდა გაუწიოს კვებით მომსახურება, შემდგომში მომსახურება. მომსახურების გაწევა განხორციელდება: რუსთაველის გამზირი N24.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2. დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი გიორგი დოლიძე.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**შპს „ბულვარის კარიბჭე“**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი: ბათუმი, რუსთაველის ქ. № 24
	საიდენტიფიკაციო კოდი: 445407916
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	*ს.ს. „რესპუბლიკა ბანკი“* *ბანკის კოდი* – REPLGE22 ანგარიში N GE55BR0000010646417953
დეპარტამენტის თავმჯდომარე	**დირექტორი**
_____ /სულხან ღლონტი/ ბ.ა.	_____ /რუსლან კაკაბაძე/ ბ.ა.